სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

27 ნოემბერი, 2025 წ.

აკადემიური საბჭოს
დადგენილება № 06-01/166

აკადემიკოს ედიშერ კვესიტაძისათვის
ბსუ-ს საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ელი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის მე–4 პუნქტის და 62–ე მუხლის, ,,შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების დებულების“ (აკადემიური საბჭოს ოქმი N18, 17.04.2007 წ.), ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის დირექტორის სამსახურებრივი ბარათის (MES 4 25 0001670440, 25.11.2025) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დაადგინა:

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორ **ედიშერ კვესიტაძეს მიენიჭოს ბსუ-ს საპატიო დოქტორის წოდება.**
2. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
3. დადგენილება დაეგზავნოს პროფესორ ედიშერ კვესიტაძეს, რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტს, სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტს, რექტორის აპარატს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს.
4. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი **ტიტე არუშიძე**